ეროვნული ბიბლიოთეკა

10-ს მარტს, № 7 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.


გაზეთის ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით დაგაუგზავნელად | | | | 5 | მან. |
| ნახევარი წლის | — | — | — | 3 | — |
| „მწყემსი“ რუსული დამატებით | | | — | 6 | — |
| ნახევარი წლით | — | — | — | 4 | — |
| ცალკე რუსული დამატება წლით | | | — | 3 | — |
| ნახევარი წლით | — | — | — | 2 | — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кваилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## ვისი ბრალია, რომ მდაბალ ხალხში ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებას მნიშვნელობა ეკარგება?

თითქმის ყველამ ვიცით, რომ დღეს ძლიერ ხშირად ცრუდ ფიცავენ და ამიტომ ფიცით და უფიცრად ჩვენებას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს ზოგიერთების ფიქრით. ამას ყველაზედ მეტად ამჩნევენ მოსამართლეები. ამ უკანასკნელ დროს მრავალნი ციმბირში გასაგზავნი პირნი განთავისუფლდენ სასამართლოს განჩინებით და ისე არხეინად დასეირნობენ, ვითომც მათ არაფერი ცუდი არა ჩაედინოსთ-რა. რისგან ხდება ეს?—იმისაგან, რომ ტყუილზედ დაფიცება ადვილი შეიქნა. განსაკუთრებით „რუსული ფიცის“ მიღება და სიცრუის ჩვენება ისეთი ადვილია, რომ დღეს ეს სარწმუნოების და სინიდისის წინააღმდეგად აღარავის არ მიაჩნია...

სიმართლის აღმოსაჩენად ერთიღა საშუალება არის დარჩენილი,—ეს არის ფიცი. ფიც-ქვეშ ჩვენებაზედ არის უმთავრესად დამყარებული სასამართლოს განჩინება. და როდესაც ხალხში ფიცს თავისი მნიშვნელობა დაეკარგება,—ვაი იმ საზოგადოებას და სამართლიანობას! მოსამართლეები, დამცველები და ზოგიერთი ნასწავლი პირებიც სამღვდელოებას აუგებენ და მათ სდებენ ბრალს, როდესაც მათი სამწყსონი ფიცის-ქვეშ სიცრუეს უჩვენებენ მსაჯულებს. ამ შემთხვევაშიდ ზოგიერთების მსჯელობა სწორედ ახირებულია.

არც ჩვენ, სულიერნი მწყემსნი, ვართ წინააღმდეგნი, რომ ჩვენ ხალხში ჯვარსა და სახარებაზე დაფიცებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ძველიდგან ჩვენი ხალხი ამისთანა ფიცის მიღებას შეჩვეული არ ყოფილა. ცხადია ყველასთვის, რომ ჯვარსა და სახარებაზედ დაფიცება უფრო მძიმეა და ძნელი გასაბედავი, ვინემ რომელიმე წმიდანის ხატზედ დაფიცება. მაგრამ როგორ გინდათ მოაშლევინოთ ხალხს თავისი მამა-პაპური ჩვეულება, ვინემდის თქვენ ის არ გაგინათლებიათ და ამ განათლებით არ ჩაგინერგავსთ მათში ჭეშმარიტი შეხედულება ფიცზედ, ცხოვრებაზედ და სხვაზე? ჩვენი სასამართლოები დიდ შეცდომაშიდ ვარდებიან, რომ ამ ხალხის ძველ ჩვეულებას არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ამ ყურადღების მიუქცევლობით ხშირად სასამართლოც გაჭირვებაშიდ ვარდება და მრავალი კაცის სიმართლეც ითელება უსამართლოებით. ამის შესახებ მრავალჯერ გამოთქმულა აზრი ბეჭვდის საშუალებით, მაგრამ, სამწუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ, ისინი, ვისიც რიგია, დღესაც არ აქცევენ ყურადღებას ამ საგანს.

მდაბალს და გაუნათლებელს ხალხს ამტყუნებენ, რომ მას კრძალულება არ აქვს ფიცისადმი, მაგრამ ჩვენ გაბედულად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მდაბალ ხალხს უმეტესი კრძალულება აქვს ფიცისადმი, ვინემ ზოგიერთ განათლებულ მოსამართლეს და დამცველს. მდაბალი გაუნათლებელი ხალხი ბავშვივით უყურებს მაღალი ნასწავლი ხალხის საქციელს და რამდენათაც შეუძლია, ჰბაძავს მას. აბა დააკვირდით თქვენ ზოგიერთი მოსამართლის ქცევას და შეხედულებას ფიცზედ. ზოგიერთ სასამართლოში პირველად თვალში გეცემათ თქვენ მშვენიერად მორთული ძვირფასი სურათები. ეს კარგია და მოსაწონი. აბა შეხედეთ ეხლა, თუ სად არის ჯვარი და სახარება? იქნება შენიშნოთ სადმე ყურეში დამტვერული, უბრალო და მცირე ფასის. ხშირად ჯვარი და სახარება სალაცა საქმის ქაღალდებში არის შეგდებული, ერთ მაზრის სასამართლოშიდ ხალხის და თანამდებობის პირების დასაფიცებლად ერთი გატეხილი ჯვარი აქვსთ და სრულებით დაგლეჯილი სახარება; ოლარზე არ შეეხედება კაცს. მდაბალი ხალხი ამას ძლიერ აკვირდება და როდესაც ხედავს, რომ თვითონ მოსამართლეები და უმფროსები ასე აბუჩად უყურებენ წმიდა დასაფიცებელ ნივთებს, რა საკვირველია, სრულებით ეკარგება მათ შიში და კრძალულება.

მდაბალ ხალხშიდ ცრუ ფიცის გამრავლების მიზეზნი არიან თვითონ ჩვენი განათლებულნი იურიტსნი—ადვოკატნი. ჩვენ არ ვიტყვით, რომ მათშიაც პატიოსნები არ იყვნენ, მაგრამ ზოგიერთები სწორედ პირველი შემომღებნი არიან ცრუ ფიცის გავრცელებისა ხალხში. დამცველმა ძლიერ კარგად იცის წინ-და-წინ, თუ როგორი ჩვენება არის მოწმისა საჭირო თავისი მარწმუნებელის გამოსახსნელად და გასამართლებლად. ისინი წინ-და-წინ შეუთხზამენ მოწმეებს ჩვენებას და ათასჯერ რომ დააფიცოთ, ისე აჩვენებენ, როგორც დაარიგეს. ჩვენ მრავალი ფაქტები გვაქვს ჩვენი ნათქვამის დასამტკიცებლად, მაგრამ, ვგონებთ, ამ ჩვენ ნათქვამს დამტკიცება არ სჭირდება—ისეც კარკად ხედავს საზოგადოება.

ამისათვის საჭიროა თვითონ მოსამართლეებმა იქონიონ ცოტაოდენი კრძალულება ჯვარისა და სახარებისადმი და დაუმტკიცონ მდაბალ ხალხს თავისი ქცევით ეს კრძალულება. დამცველები ნუ აქეზებენ მდაბალ ხალხს ცრუ ფიცის მიღებაზედ და ნუ უთხზავენ წინათვე მათგან მისაცემ ჩვენებას. სიმართლის ამოჩენისათვის, რიგია, მოსამართლემ მიაქციოს ადგილობრივ ხალხის ჩვეულებას და წესს ყურადღება ფიცის შესახებ, ვიდრემდის ხალხი მიიღებდეს განათლებას და შეიტყობდეს, თუ რა საძაგლობაა არა თუ ფიცით სიცრუის ჩვენება, არამედ უფიცრადაც ტყუილის თქმა.

მღვ. დ. ღამბაშიძე.

---

## ნუ თუ მარტო გლეხებია ვალდებულნი, რომ მღვდლის დრამა იხადონ?

წერილი რედაქტორთან!

ძველ აღთქმაში კეთილ-მნებელობითი შეწირულება არ არსებობდა ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოდ. მოსეს სჯულით ტაძრის მოსამსახურეთა მისაცემი გარდასახადის ზომა გადაწყვეტილი იყო. რიცხვთა წიგნში (III, 47. XVIII, 15—16) ვკითხულობთ, რომ ყველა ებრაელნი იხდიდნენ ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოდ პირმშო ვაჟისათვის 5 სიკლს, ხოლო დედათა სქესისათვის 3-ს (5 სიკლი უდრის ჩვენ ფულს 4 მან. 50 კაპ.); აგრეთვე ძველი ებრაელები ოჯახის ნაწარმოებიდამაც აძლევდენ ნაწილს ტაძრის მოსამსახურეთა. ამ წესს ყველა ებრაელები ემორჩილებოდენ გაურჩევლათ წოდებისა. ამ წესდებას დაემორჩილა თვით ყრმა იესო, ღვთაებრივი პირმშო ძე ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა; ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი, თუმცა ღარიბი იყო, მაგრამ მაინც მიიტანა ხუთი სიკლი ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოდ. აქედან სჩანს, რომ ძველ აღთქმაში ტაძრის მოსამსახურეთა გვარიანი შემოსავალი ჰქონიათ ხალხისაგან.

ახალი აღთქმის ეკკლესიის დაარსებისათანავე მოსეს წესდებამ ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოდ გარდასახადის შესახებ დაჰკარგა თავისი ძალა. ნაცვლად ამისა დაარსდა კეთილ მნებელობითი შეწირულება ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოდ, თვით-მწყემსთ-მთავრმა იესო ქრისტემ წარგზავნა რა თვისი მოციქულები საქადაგებლად, უბრძანა მათ; „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისაო“ (მათ. 9—10). საქმე მოციქულთა წიგნიდამ სჩანს, რომ მოციქულები მორწმუნე და თანამოაზრე ქრისტიანებით შეადგენდენ ერთი სარწმუნოებით შეკავშირებულ ოჯახს, რომელთაც ჰქონდათ ერთი გული და ერთი სული და ვისაც რამე ჰქონება გააჩნდა, ყიდდა და მიჰქონდა «ფეხთა ქვეშე მოციქულთასა», მაგ. იოსია კვიპრელმა გაჰყიდა რა თავისი ქონება, აღებული ფული დასდვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ფერხთა ქვეშე მოციქულთა». მაგრამ ამ მადლიან დროსაც იყვნენ ისეთი პირნი, რომლებიც კერძო ინტერესებს უფრო ემსახურებოდნენ და არ ჰქონდათ სურვილი შეეწირათ თავისი ქონება ტაძრისა და მის მოსამსახურეთა სასარგებლოდ; ეს პირნი ცდილობდნენ, რომ საზოგადო საკუთრებასთან ჰქონოდათ კერძო საკუთრებაც. ასეთი პირი იყო ანანია თავისი თანა მოაზრენითა (საქმე მოციქულთა V, 1-10). თუ როდესაც ხალხს თვალის წინ მოციქულები მრავალს სასწაულს შერებოდნენ, კერძო საკუთრების მიმდევარნი იყვნენ, მით უმეტეს ჩვენ დროში, როდესაც აღარც სასწაულებია და ხალხიც გატაცებულია ამაო წუთის სოფლის ცხოვრებით, ასეთი პირნი ტოტანი არიან. ჩვენ დროში კეთილ-მნებელობითი შეწირულებანი სასარგებლოდ ეკკლესიის მოსამსახურეთა თითქმის აღარ არსებობს.

საქართველოში ძვირად მოიძებნება დღეს იმისთანა შეძლებული პირი, რომელმაც ცოტა მაინც რამე გამოიმეტოს ტაძრის და მისი მოსამსახურის სასარგებლოდ. ძველ დროში კი ქართველთა მეფეები და დიდ-კაცობა იმდენათ გატაცებული იყვნენ ეკკლესიების და მათი მოსამსახურეთადმი სიყვარულით, რომ მთელ სოფლობით სწირავდნენ ეკკლესიებს და მათ მოსამსახურეთა მამულს, აშენებდნენ მონასტერ-ეკკლესიებს და ამკობდნენ მათ სხვა-და სხვა ძვირფასის სამკაულითა. ეხლანდელი ქართველები კი იმას ცდილობენ, რომ რაც მათ მამა პაპას შეუწირავსთ და წყევა კრულვას უძლევნიან გამომწირველთა, წაართვან მონასტრებს და ეკკლესიებს და თავის სხვა ქონებასთან ერთად წაიგონ დიდ-კაცურ დროის გატარებაში. ეხლანდელი საქართველოს მრავალ თავად-აზნაურობას სრულიად აღარ ახსოვს ეკკლესია და მისი მოსამსახურენი.

საქართველოში დღეს ტაძრებს და მის მოსამსახურეთა ინახავს მხოლოდ გლეხ-კაცობა ზოგან განსაზღვრული ფულის გარდასახადით და ზოგან ხორაგით. თავად-აზნაურნი კი მხოლოდ მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს აძლევენ ტაძრის მოსამსახურეს მცირე სასყიდელს.

ვისაც უნდა, რომ სამღვდელოებისაგან მოტანილი სარგებლობა დაინახოს, მას უნდა ჰქონდეს ბრწყინვალე გონებითი თვალი—თვალი სარწმუნოებისა. ვისაც ეს თვალი არა აქვს, მას არ შეუძლია დააფასოს სამღვდელოების სამსახურის სარგებლობა. ასეთ პირებზე მაცხოვარი ამბობს: რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ...

დასავლეთ საქართველოში სოფლის სამღვდელოებას ისეთი მცირე შემოსავალი აქვს მრევლისაგან, რომ სამღვდელოება იძულებულია უბრალო შავი მუშაობით არჩინოს თავისი წვრილი ცოლ-შვილი. დღეს ძვირია ისეთი მღვდელი და მედავითნე, რომ იგინი მრევლის შემოსავლით ცხოვრებდნენ.

დროა, რომ თავად-აზნაურობამაც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობას და ცოტათი მაინც მიბაძონ მათ თავიანთ წინაპართა.

მღვ. იოსებ წერეთელი.

# სვანეთიდგან.

ადგილობით გაზეთ-ჟურნალებში ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი სვანეთზე, რომელიც მოშორებულია მთელს საქართველოს. ბევრი თქმულა და დაწერილა აგრეთვე იმაზედაც, რომ მთელი სვანეთი გარშემო შემოზღუდულია დიდი მთებით, რომლებზედაც თითქმის მუდამ თოვლი სძევს. არც ერთი კუთხიდამ სვანეთს შესავალი გზა არა აქვს. მხოლოდ ერთი გზა გადადის მუშურის მთაზე, მაგრამ ეს გზაც ისეთი ცუდი და უვარგისია, რომ მასზე უშიშრად მოგზაურობა არ შეუძლია კაცსა. ამ უგზობით მეტად შევიწროებულნი არიან საწყალი სვანები და მათში მოსამსახურე პირნი. წელიწადი არ გაივლის, რომ რამდენიმე მოგზაური სვანი არ იმსხვერპლოს მუშურის მთამ. თებერვლის თთვეში ამ მთამ იმსხვერპლა ხუთი საეკკლესიო და სამღვდელო პირი. აი როგორ მოხდა ეს სამწუხარო ამბავი: ადგილობითმა ბლაღოჩინმა კრებულის ჯამაგირების და სხვა საჭირო ქაღალდების მოსატანად ამოირჩია ქუთაისში გასაგზავნად რამდენიმე პირი ეკკლესიის მოსამსახურეთაგანნი; მაგრამ რადგან საშიშო იყო მთაზე მოგზაურობა, ბლაღოჩინმა ვერ გაბედა ამ პირების გაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავნა, სანამ სხვა პირებიც არ შეიკრიბენ ქუთაისში წასასვლელად. ბლაღოჩინისაგან ამორჩეული პირები იყვნენ: მთავარ-დიაკონი ვასილ ცხვედიანი, მღვდელ-დიაკონები: მაქსიმე ბეიშიანი, ილარიონ წულუკიძე, ერმალო ჯაჭვლიანი და ლავრენტი ფარეიშვილი. 9 თებერვალს ქუთაისისკენ გაემგზავრა ოცი კაცი და მათ გაჰყვა ეს ხუთი პირიც. მოგზაურობის დროს მგზავრები რიგით ამკვლევდენ თურმე თოვლს და ისე მიდიოდენ. როცა სხვები დაღალულან, მაშინ ეს დიაკონი და ოთხი მღვდელ-დიაკონი წასულა წინ. ამ დროს დახვევულა ნისლი, დაუწყია თოვა, საწყლებს გზა ველარ გაუგნიათ და მიდგომიან ერთ ცუდს ადგილს. ამ დროს წამოსულა ზვავი და ეს ხუთი პირი და მათთან ოთხი სხვა მოგზაური ზვავს წაუღია. შკანა მოგზაურები კი გადარჩენილან და გულ-გახეთქილები ჩამოვარდნილან ს. ჟალაში. სვანებმა გაიგეს ეს შემაძრწუნებელი ამბავი, მაგრამ, რადგან ცუდი ამინდი იყო, დაღუპულების საძებნად წასვლა ვერავინ ვერ გაბედა. მესამე დღეს, როცა ცოტა გამოიდარა, შეიკრიბენ ბლომად სვანები და წავიდნენ დაღუპულების საძებნად. ბევრი ეძებეს საწყლები და ბოლოს ყველანი ნახეს, გარდა მღვდელ-დიაკონის წულუკიძისა. რვა კაცი ამ დაღუპულებში ხის ნამორებიდან ჩამოათრიეს ბაწრით სოფელს ჟალაში. აქედგან ეს საწყლები თავიანთ მონათესავეებმა და მშობლებმა წაიღეს თავის სოფლებში. საზარელი სანახავი იყო, როცა მიცვალებულები ჩამოასვენეს ს. ჟალაში, სადაც ზოგიერთი მიცვალებულების მონათესავენი და მშობლები იყვნენ თავ-მოყრილნი. როცა მიცვალებულები დაინახეს, მონათესავეთ შეჰქნეს ერთი კივილი და ვაება.

გარდაცვალებული მღვდელ-დიაკონი ფარეიშვილი იყო სოფლის ჟალის მღვდლის შვილი; საწყალს მოხუცებულს მის მეტი არასწორი არ გაჩნდა. საზარელი და თან საცოდავი სანახავი იყო, როცა მთავარ დიაკონს ცხვედიანს დასტიროდენ თავისი ცოლი და რვა წლის ქალიშვილი. ამ გარდაცვალებულებში ჯაჭვლიანი, ცხვედიანი და ბეიშიანი ლენჩხუმიდამ იყვნენ, ხოლო ფარეიშვილი და წულუკიძე რაჭიდამ. ამ პირთ უპატრონოთ დარჩათ ცოლ-შვილები; ყველაზე უფრო საცოდავია მთავარ დიაკვნის ცოლი და მცირე წლოვანი ქალიშვილები. ეს საცოდავი დიაკონი ოცი წელიწადი მსახურებდა სვანეთში მცირე ჯამაგირზე. გარდაცვალებულის ქონებას შეუდგინეს სია და ამ სიიდგან სჩანს, რომ ამ საბრალოს სიკვდილის შემდეგ დარჩენია: ერთი ჯორი, ორი ნაჯახი, ძველი კაბა და ანაფორა, დანარჩენი ტანისამოსი მიცვალებულს ზედ ცმია. თუ ასე ღარიბები არიან აქ მთავარ-დიაკვნები, მაშ მღდვლ-დიაკონებით რაღა უნდა გააჩნდესთ?

ერთი სიტყვით უკიდურეს მდგომარეობაში ვართ სვანეთში მოსამსახურე სამღვდელოება. ჯამაგირი მცირე გვეძლევა, სხვა შემოსავალი არაფერი არა გვაქვს. ჩვენი მცირე ჯამაგირისაგან ეკკლესიისათვის სანთელი, საკმეველი, სეფისკვერი და ღვინოც ჩვენ უნდა ვიყიდოთ. რაღათი ვცხოვრობთ, არ ვიცით. ვერც ჩვენ ეპარქიებში გადასვლა მოგვიხერხებია, რადგან ადგილის დაცლას დროით ვერ ვტყობილობთ და როცა ჩვენ შევიტყობთ, მაშინ ადგილი სხვას მიცემულიცა აქვს.

მთელს სვანეთში ექიმი არ მოიძებნება. ლაილაშში, მართალია, არის აფთექაც და ექიმიც, მაგრამ ამ სიშორიდგან ავად-მყოფს ან ექიმს და ან წამალს როგორ მიაწვდენს კაცი? ეს არის მიზეზი, რომ სვანეთში მრავალი კაცი და ქალი უპატრონოთ იხოცება. შარშან და წრეულს ს. მესტიაში და ლენჯერში გაჩნდა რაღაც სნეულება, რომელსაც სვანები „მაზიკს“ ეძახიან. ამ სნეულებამ ბევრი იმსხვერპლა. ავად გახდომის წინად კაცს შეაცივებდა ერთს, ან კიდევ გააცხელებდა; ზოგს თავის ტკივილი აუტყდებოდა და სისხლზე გაჰყავდა. ზოგს ეს სენი შეყრის უმალვე ჰკლავდა, ზოგნი კი ორი-სამი თთვე წვალობდენ და მერე იხოცებოდენ. ზოგიერთები მორჩენ, მაგრამ მორჩენის შემდეგ ყურს დააკლდათ და ზოგი დავრდომილნი შეიქმნენ.

ამ სენით გაუხდა ავად შვილი ს. ლენჯერის მღვდელს მ. იოანე გოგსაძეს. შვილის ავად-მყოფობა მამასაც შეხვდა. მამა-შვილი უპატრონოთ იყვნენ ერთ სახლში. მამას პირველად თავი სტკიოდა ერთი კვირა და მერე სისხლის ყვანა აუტყდა, თუმც მუცლის ტკივილს არა გრძნობდა საცოდავი. სად იყო ამდენი სისხლი, გასაკვირველია. ასე იწვალა საწყალმა 1 თებერვლამდე და ამ დღეს კი სული განუტევა. საცოდავი სანახავი იყო ავად-მყოფი მამა და პატარა შვილი, რომლებიც თავ-შექცევით იწვენ ლოგინზე. სიკვდილის დღეს შვილი მალ-მალ უძახოდა მამას; ბოლოს იკითხა: მამა როგორ არისო. საწყალს ეუბნებოდენ: ნუ გეშინია, მამას სძინავსო და კი არ იცოდა, რომ მამა მისმა საუკუნოდ დაიძინა. ეს მღვდელი იყო შორაპნის მაზრიდამ. ორი წელიწადია, რაც ის მღვდლად აკურთხეს და აქ გამოამწესეს.

ნუ თუ სვანეთი, სადაც 14000 სული ცხოვრობს ღირსი არ არის ყურადღებისა? ნუ თუ ამდენ მცხოვრებთ ერთი უბრალო გზა არ უნდა ჰქონდესთ და ექიმი არ ჰყავდეთ? რამდენია სვანეთში პატივცემული პირნი და სწავლა მიღებულნი, დავიჯეროთ, რომ მათ გული არ შესტკივათ და არას ფიქრობენ თავიანთ მოძმეებზე?

მღვ. ანტონ ქურციკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრების აღწერა

## წმიდა მოციქულთ-სწორისა ნინოსი,

### საქართველოს განმანათლებელისა.

(გაგრძელება *).

როდესაც ნინომ გაიღვიძა და თავის ხელში იხილა ჯვარი, აღივსო სიხარულით და თვალ-ცრემლიანი ჰკოცნიდა ჯვარს, შემდეგ შეჰკრა ის თავის თმითა და წავიდა პატრიარქთან და უამბო მას ყოველივე, რაც იხილა. ნეტარმა პატრიარქმა ამ ხილვაში იგრძნო ღვთის განგებულება და აკურთხა ახალ-გაზდა ქალწული. როდესაც ნინოს მოუწია ივერიაში წასვლის დრომ, პატრიარქმა მოჰკიდა ხელი მას, შეიყვანა საკურთხეველში, დაასხნა ხელნი მისნი წმიდანი მხართა ზედა მისთა, შეევედრა ღმერთს და სთქვა: „უფალო ღმერთო საუკუნეთაო, მაცხოვარო ჩვენო, ხელთა შენთა შევავედრებ ობოლსა ამას და წარვავლინებ ქადაგებად ღვთაებისა შენისა, შემწე ეყავ მას, ქრისტე ღმერთო, ყველგან, სადაც იქადაგოს მან სიტყვა შენი, ექმენ მას, ქრისტე ღმერთო, თანამოგზაურ და მოძღვარ და მიეც მის სიტყვებს ძალა და სიბრძნე და შენ, ყოვლად წმიდაო ქალწულო ღვთის მშობელო, ძალო და შემწე ყოველთა ქრისტიანეთაო, შეეწიე შენგან აღრჩეულს ქადაგებად კერპთ-თაყვანის მცემელ ხალხთა შორის, დაიფარე ის ყოველივე ხილულ და უხილავ მტერთაგან და ექმენ მას მფარველ და შემწე და ნუ მოაკლებ მას შენს მადლს იქამდე, სანამ ის არ აღასრულებს შენს ნებას.

ამ დროს წმიდა ქალაქიდამ გაიქცნენ სომხეთში 53 ქალწული, რომელთაც თან გაჰყვათ ვინმე დედოფალი რიფსიმე და მათი აღმზრდელი გაიანე. ეს ქალები გამოიქცნენ რომიდამ, რადგან მათ სდევნიდა ურწმუნო კეისარი დიოკლიტიანე, რომელსაც სურდა რიფსიმეს ცოლად შერთვა, მაგრამ რიფსიმეს აღთქმა ჰქონდა მიცემული ღვთისათვის მუდამ ქალწულად დარჩენაზე. ყველა ეს ქალები და მასთან ერთად წმ. ნინო მიუახლოვდენ სომხეთის სამზღვარს და შევიდენ სომეხთა სატახტო ქალაქს ვარგაშაბადში. აქ დაბინავდენ ეს ქალები ერთ საწნახელ ქვეშ და საჭმელს შოობდენ თავიანთი შრომით.

*) იხ. „მწყემსი“ № 6, 1887 წ.

გაბოროტებულმა დიოკლიტიანემ როცა გაიგო, რომ რიფსიმე და მასთან სხვა ქალები იმალებიან სომხეთში, სომხის მეფეს ტირიდატს, რომელიც ამ დროს კერპთ-თაყვანის მცემელი იყო, გაუგზავნა წერილი, რომელშიდაც სთხოვდა ტირიდატს, რომ მას მოეძებნა რიფსიმე და გამოეგზავნა რომში. ამასთან დიოკლიტიანე სწერდა ტირიდატს: „თუ მოისურვებ, შეგიძლია შენ თითონ აიყვანო ის ცოლად, რადგან ეს ქალი მეტად მშვენიერია. ტირიდატისაგან გაგზავნილმა კაცებმა მალე მონახეს რიფსიმე და მოგვარეს მეფეს. მეფემ, რომ იხილა რიფსიმეს მშვენიერება, უთხრა მას: „მე მსურს, რომ ჩემი ცოლი გახდე“. ამაზე რიფსიმემ გაბედვით უთხრა მეფეს: „მე აღთქმა მაქვს მიცემული ღვთისათვის და ქალწულად უნდა დავრჩე და შენ უწმინდური როგორ ბედავ ჩემს მოკარებას? ამ სიტყვებმა ისე გააბრაზა და თან შეარცხვინა მეფე, რომ მან უბრძანა მოსამსახურეთ ეწვალებინათ რიფსიმე. ბევრი წამება მოითმინა რიფსიმემ და ბოლოს მოჰკვეთეს მასხენა, ამოთხარეს თვალები და მთელი მისი ტანი ნაკუწ-ნაკუწად აქციეს. ასეთივე ბედი ხვდა რიფსიმეს ყველა მეგობარ ქალებს და მათ აღმზრდელ გაიანეს *).

ყველა ამ ქალებში გადაურჩა სიკვდილს მხოლოდ ერთი წმიდა ნინო. ღვთის განგებულებით ნინო დაიმალა ეკალთა შინა ვარდისათა; რომელი იგი ჯერეთ არღარა გამომღებელ ქმნილ იყო ყვავილისა ჟამსა მას. ნინო შეპყრობილ იყო შიშისაგან და მხურვალე გულით ევედრებოდა ღმერთს. როცა წმ. ნინომ აღიხილნა თვალნი ზეცად, იხილა ბრწყინვალე ანგელოზი, მოსილი ორარითა. მას თან ახლდა მრავალი ერი ზეცისანი და შთამოდიოდა ზეციდამ და ხელთა ჰქონდა სასაკმეველი. მას ქვემოდგან მიეგებენ სულნი მათ მოწამეთანი, რომელნიც შეიერთეს ბრწყინვალეთა მათ ძალთა ზეცისათა და მათთან ერთად ამაღლდენ ზეცად. როცა ეს იხილა წმიდა ნინომ, ღაღად ჰყო ესრედ: «უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა?» ანგელოზმა მიუგო მას: ნუ სწუხარ, მოიცადე ცოტა და შენც წაყვანილ იქნები სასუფეველსა ღვთისასა, როდესაც ეგ გარეული ეკალი, რომელიც შენ გარს გარტყია, დაიფარე-

*) ყველა ამ წმიდა ქალების ხსენებას, რომელთა სიკვდილმა მოაქცია ქრისტესადმი მეფე ტირიდატი და მთელი სომხეთი, მართლ-მადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს 30 სეკტემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა კეთილ-სუნელოვან ყვავილებით, როგორიც ასხია ბაღში დარგულს ვარდს. ამხლა აღსდეგი და წარვედ ჩრდილოთ კერძო, სადაცა არის სამკალ ფრიად; ხოლო მუშაკნი არა». Თანახმად ამა ბრძანებისა წმ. ნინო მარტოდ გაუდგა გზას. ბევრი იარა მან და ბოლოს მიადგა ერთ უცნობი მდინარის ნაპირს, სოფლის ხერთვისის მახლობლად. Ეს მდინარე იყო მტკვარი, რომელიცა რწყავს მთელ საქართველოს შუა გულს, მიმდინარეობს დასავლეთიდამ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ერთვის კასპიის ზღვას. Ამ დროს მდინარის ნაპირზე იყვნენ მეცხვარენი, რომელთაც დაღლილს მოგზაურს მიაწოდეს ცოტა საჭმელი. Ეს მწყემსები ლაპარაკობდნენ სომხურად. ნინოს ცოტა ესმოდა სომხური ენა, რომელსაც გააცნო ის მისმა აღმზრდელმა ნიაფორამ. ნინომ ჰკითხა ერთ მწყემსთაგანს: „სადეთ არის ქალაქი მცხეთა და აქედგან რა სიშორეზეა?“ მწყემსმა მიუგო: „ხომ ხედავ ამ მდინარეს? მის ქვემო ნაპირებზე მდებარეობს დიდი ქალაქი მცხეთა, სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ.“ მოისმინა ეს ნინომ და გაუდგა გზას. ბევრი სიარულის შემდეგ დაღლილი ნინო დაჯდა ერთ ქვაზედ და დაიწყო ფიქრი, თუ სად მიავლენს მას უფალი, რა ნაყოფი ექნება მის შრომას და უბრალოდ ხომ არ ჩაივლის მისი შორეული და ძნელი მოგზაურობა? Ამის ფიქრში რომ იყო ნინო, მას კიდეც წაეძინა და აი რა იხილა მან ძილში: მის წინაშე იდგა დიდი ახოვანების კაცი, რომელსაც თმა წელამდის ეყარა, ხელში ეკავა წიგნი. მან გაშალა ეს წიგნი და მისცა ნინოს და უბრძანა წაკითხვა და თვითონ კი უცბად განჰქრა თვალთაგან. ნინომ გაიღვიძა, დაინახა თავისხელში წიგნი, წაიკითხა ის და ნახა მასში სახარების შემდეგი სიტყვები: სადაც იქადაგოს სახარება ესე, მუნცა იქმოდეს დედა-კაცი ესე. არცა მამა-კაცება, არცა დედა-კაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ. რქუა იესომ დედა-კაცთა: ნუ გეშინინ: წარვედით და უთხარით ძმათა ჩემთა. რომელმან თქვენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყვეტად. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლის ამის. Ამ სიტყვების წაკითხვამ მეტად გაამხნევა წმ. ნინო და ის უფრო მხნეთ შეუდგა მოგზაურობას. მოგზაურობაში მან მოითმინა მრავალი წვალება, შიმშილი და წყურვილი; ბევრი შიში გამოიარა ნადირთაგან და ბოლოს მიაღწია საქართველოს ძველ ქალაქს ურბნისამდის. Ამ ქალაქში დარჩა ნინო ერთ თთვემდე და ამ დროის განმავლობაში სცხოვრებდა ურიების სახლებში, სადაც თვალ-ყურს ადევნებდა მისთვის უცნობი ხალხის ზნეს, ჩვეულებას და სწავლობდა მათ ენას.

Ერთხელ ნინომ იხილა, რომ მრავალი ხალხი მიდიოდა მცხეთას Თავიანთი ღმერთის—Არმაზის თაყვანის საცემლად და სავაჭროდ. Წმიდა ნინო გაჰყვა ამ ხალხს. როდესაც მიუახლოვდა ნინო პომპეის ხიდს, აქ მან დაინახა დღესასწაულებრივი სვლა მეფე მირიანისა და დედოფალი ნანასი კერპის—არმაზის თაყვანის საცემად. მეფეს და დედოფალს ახლდა მრავალი ერი. Კერპი, რომლის თაყვანის საცემად მიდიოდა ეს ხალხი, იდგა ქალაქის მეორე ნაპირას, მაღალს მთაზე. Დილიდამ შუადღემდის მშვენიერი ამინდი იყო. Ეს დღე იყო უკანასკნელი დღე კერპთა თაყვანის ცემისა საქართველოში. ხალხის გროვასთან ერთად ნინო მივიდა მთაზე, აქ მან იხილა კერპთა სამსხვერპლო. ნინომ დაინახა, რომ კერპს არმაზს ჰქონდა კაცის სახე. Ეს კერპი იყო გაკეთებული მოოქრვილი სპილენძისაგან, ტანზე ეცვა ოქროს ჯაჭვი და თავზე ეხურა ოქროს ჩაფხუტი; ერთი თვალი ჰქონდა ზურმუხტისა და მეორე იაგუნდისა. Თვალები ჰქონდა ძალიან დიდი და ელვარე. Არმაზის აქეთ-იქით იდგა ორი კერპი კაცის სახისანი, ერთი ოქროსი—გაცი და მეორე ვერცხლისა გაი.

მეფე, დედოფალი და მრავალი ერი იდგნენ ამ კერპების წინაშე და დღესასწაულობდნენ. Დააკმიეს გუნდრუკი, შემოჰკრეს საკრავებს და შესწირეს კერპთ მრავალი მსხვერპლი. მეფე, დედოფალი და ხალხი დავარდნენ წინაშე უსულო კერპთა. Წმ. ნინო შეაწუხა ამ სანახავმა; მან ამოიოხრა, აღიპყრო თვალნი თვისნი ზეცად და შეევედრა ღმერთს:

„Ყოვლად ძლიერო ღმერთო, მრავლითა მოწყალებითა შენითა ჰქმენ, რათა ხალხი ესე მოეგოს გონებასა თვისსა და გიცნოს შენ როგორც ერთი ჭეშმარიტი ღმერთი და მტვრად აქციე კერპნი ესე, მოხედენ შენი მოწყალებით ხალხსა ამას, რომელი შეჰქმენ ხატად და მსგავსად შენდა, შენ უფალო ისე შეიყვარე შენი ქმნილება, რომ მოუვლინე მას მხოლოდ შობილი ძე შენი. Კეთილ ჰყავ უფალო, რათა თვალთა ჩემთა იხილონ ამა კერპთა შემუსვრა; მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღე შენი მოწყალება, რათა ამ ერმაც იხილოს მაცხოვარება შენი და თაყვანი სცეს შენ მხოლოსა ღმერთსა და მხოლოდ შობილსა ძესა შენსა იესო ქრისტესა, რომელსა შვენის მადლობით დიდების მიცემა უკუნისამდე." ჯერ კიდევ არ დაესრულებია ლოცვა წმ. ნინოს, რომ ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, დაიწყო ჭექა-ქუხილი, მილეწა კერპნი და გაფანტა აქეთ-იქით. ხალხმა და მეფემ დედოფლით, როცა დაინახეს ესეთი ღვთის წყრომა, გაიქცნენ და ეძებდენ თავშესაფარს ადგილს. ყველანი გაიქცნენ, მხოლოდ დარჩა მთაზე ნინო, რომელიც შეეფარა ერთ გამოქვაბულ კლდეს. შემდეგ ცამ მოიწმინდა.

მეორე დღეს მეფე და მთელი ერი გამოვიდნენ და ეძიებდენ თავიანთ ღმერთებს, მაგრამ ველარ იხილეს კერპები, ძლიერ გაუკვირდათ ეს ამბავი და ამბობდენ: „დიდ არს ღმერთი არმაზი, მაგრამ არის მეორე უდიდესი ღმერთი და მან სძლია ის. ალბად ეს არის ღმერთი ქრისტიანებისა, რომელმაც შემუსრა სომეხთა ღმერთნი და მოაქრისტიანა სომეხთა მეფე ტირდატი?" მაგრამ ივერიაში არავინ არაფერი არ იცოდა ქრისტეზე, არავის არ უქადაგნია აქ, რომ ქრისტე იყო ღმერთი.

რამდენიმე ხნის შემდეგ წმ. ნინო შევიდა მცხეთაში როგორც მოგზაური, თავის თავს უწოდებდა ტყვედ და გასწია მეფის ბაღისაკენ. მას მიეგება წინ, როგორც ნაცნობს, მებაღის ცოლი ანასტასია, რომელმაც თავი დაუკრა წმ. ნინოს და შეიყვანა თავის სახლში, შემდეგ დაბანა მას ფეხი, აცხო თავზე ზეთი და მიაწოდა პური და ღვინო. ანასტასიამ და მისმა ქმარმა სთხოვეს წმ. ნინოს, რომ ის დარჩენილიყო მათთან, როგორც და, რადგან ისინი უშვილონი იყვნენ და მეტად სწუხდენ მარტოობას. შემდეგ ანასტასიას ქმარმა, წმ. ნინოს სურვილისა მებრ, ბაღის ერთ კუთხეში გააკეთა ნინოსათვის პატარა კარავი, სადაც დღემდისაც სდგას პატარა ეკკლესია წმ. ნინოსი სამთავროსის დედათ-მონასტრის ეზოში. ამ კარავში წმ. ნინომ დაასვენა ჯვარი, რომელიც მისცა მას ღვთის მშობელმა და ატარებდა ამ კარავში ნინო დღე და ღამეს ლოცვაში და ღვთის ვედრებაში.

ამ პატარა კარავიდგან გაითქო ნინოს სახელი მცხეთას მრავალი საკვირველი საქმეებით და სასწაულებით. საქართველოში წმ. ნინოსაგან მიიღეს ქრისტიანობა მებაღემ და მისმა ცოლმა, რომელთაც თავის სახლში დააბინავეს წმ. ნინო. ნინოს ვედრებით უშვილო ანასტასიას მიეცა შვილი. ნინომ განჰკურნა ერთი დიდის ხნის ავად-მყოფი ყრმა, რომელსაც დედა ატარებდა ქუჩებში და ყველას ევედრებოდა შველას. წმიდა ნინომ აიყვანა ეს ყმაწვილი, დასდო თავის ლოგინზე, შეევედრა ღმერთს, დაადვა ყმაწვილს ჯვარი. ყმაწვილი განიკურნა და შემდეგ მისცა თავის დედას.

ამის შემდეგ წმ. ნინომ იწყო გამოჩენით ქადაგება სახარებისა და უქადაგებდა ივერიელ კერპთ-თაყვანის მცემელთ და ებრაელთა, რათა მათ მოენანიებიათ ცოდვანი თვისნი და მიეღოთ ქრისტეს სწავლა. ყველანი კარგად ხედვიდენ წმიდა ნინოს კეთილცხოვრებას და ამიტომ ყველანი უსმენდენ მას. ბევრი, განსაკუთრებით ებრაელების ქალები ხშირად მიდიოდნენ ნინოსთან და ყურს უგდებდენ მის სიტყვებს და ახალს სწავლას ღვთის სასუფეველზე და საუკუნო ცხოვნებაზე და ხდებოდნენ იგინი მოწაფედ ნინოსა ფარულად. ასეთები იყვნენ: სიდონია, ქალი ქართლის ებრაელების მღვდელ-მთავრის აბიათარის და სხვანი ექვსნი ებრაელის ქალი. აბიათარმაც იწამა ქრისტე, როდესაც გაიგონა ნინოსაგან იესო ქრისტეზე ნაწინასწარმეტყველების განმარტება და მათი აღსრულება, „მოსეს სჯულს და წინასწარმეტყველთ მიჰყავთ კაცი ქრისტესადმი, რომელსაც მე ვქადაგებ, ამბობდა წმ. ნინო," ასე აღიარებდა შემდეგში თვით აბიათარიც: „ის არის დასასრული და აღმსრულებელი კანონთა, ქვეყნის დასაბამიდამ, როგორც ამაზე სწერია ჩვენს წიგნებში, ამ საკვირველმა ქალმა მაუწყა მე ყოველივე, რაც მოამზადა ღმერთმა ხალხის საცხოვნებლად ქრისტეს მიერ. ესე არს ჭეშმარიტად იესო, ძე უმამა-კაცო ქალისა, როგორც მას წინასწარმეტყველნიც უწოდებდენ. ჩვენმა წინაპრებმა შურისა გამო აცვეს ის ჯვარზე და მოჰკლეს, მაგრამ ის აღსდგა, ამაღლდა ზეცად და კვალად არს დიდებით მომავალ; მისი სახელით წმ. ნინო ჩემს წინაშე შვებოდა ბევრს სასწაულებს, რომლების ქმნა შეუძლია მხოლოდ ერთს ღვთის ძალას."

წმიდა ნინო ხშირად ებაასებოდა აბიათარს, რომლისაგან გაიგო შემდეგი ზეპირ-გადმოცემა ქრისტეს კვართზე: «მე, დაიწყო აბიათარმა, გამიგონია ჩემი მშობლებისაგან, რომელთაც აგრეთვე გაუგონიათ თავიანთი მშობლებისაგან, რომ როცა მეფობდა იერუსალიმში იროდე, მოუვიდათ მცხეთაში და მთელს საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს ამბავი, რომ იერუსალიმში მოვიდნენ სპარსის მეფენი და ეძებდენ ახლად დაბადებულს ყმაწვილს დავითის შთამომავლობიდგან, ყმაწვილს, რომელიც დაიბადა დედისაგან უმამაკაცოდ და უწოდებდენ მას ურიების მეფედ. მათ იხილეს ის ბეთლემში, დავითის ქალაქში, უბრალო სახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ში და შესწირეს მას ძღვენი იგი, პირველ თქმული და წარვიდნენ იგინი მშვიდობით თავის ქვეყანაში. ამის შემდეგ გაიარა 30 წელმა, ჩემმა პაპამ ელიოზმა მიიღო იერუსალიმიდგან შემდეგი წერილი მღვდელმთავრის ანნასაგან გამოგზავნილი: ის, რომლის სანახავად მოვიდნენ სპარსის მეფენი და რომელსაც შესწირეს ძღვენი, შეიქმნა სრულ წლოვანი და ჰქადაგებს, რომ ის არის ქრისტე, მესია და ძე ღვთისა. მოდით იერუსალიმში და იხილეთ მისი სიკვდილი, რომელიც მან უნდა მიიღოს მოსეს კანონისა მებრ. როცა ელიოზი სხვა მოგზაურებთან ერთად გაემგზავრა იერუსალიმში, მაშინ მისმა დედამ, კეთილსახიერმა მოხუცმა, რომელიც იყო მღვდელ-მთავრის ილიას შთამომავლობისაგან, უთხრა მას: შვილო, წადი, მაგრამ გევედრები, ნუ მიიღებ მონაწილეობას მის სიკვდილში, რომლის სიკვდილი განუზრახავთ, ამიტომ რომ იგი არის სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთა და საიდუმლო დაფარული ჰურიათაგან და წარმართთა ნათელი და ცხოვრება საუკუნო. წავიდა ელიოზი, რომელიც ლონგინოზ კარსნელთან ერთად დაესწრო იესო ქრისტეს ჯვარცმის დროს. ელიოზმა იშოვნა ქრისტეს კვართი რომის ერთ მხედრისაგან, რომელსაც შეხვდა ის წილის ყრით და მოიტანა ეს კვართი მცხეთაში. ელიოზის და სიდონია მიეგება ძმას და უხაროდა მისი მშვიდობით დაბრუნება. ელიოზმა უჩვენა დას კვართი უფლისა, სიდონიამ აიღო კვართი, მიიკრა ის გულზე და მყისვე აღსრულდა. ვერას საშუალებით ვერ გამოაცალეს სიდონიას ხელიდამ ეს კვართი. ამისათვის სიდონია დაასაფლავეს კვართიანურთ მეფე ადერკის ბაღში, სადაც ამის შემდეგ ამოვიდა დიდი ნაძვის ხე, რომლის ძირი და ტანი დღემდისაც უვნებლად არის შენახული. ამ ხესთან იკრიბება დიდ ძალი ხალხი. შესაძლებელია, რომ ამ ნაძვის ძირში იყოს სიდონიას საფლავი.

## რა მოხდა ბოლგარიაში?

გერმანიული გაზეთი დაწვრილებით ასე მოგვითხრობს ბოლგარიაში არეულობის ამბავს. რუშჩუკის მეციხოვნეთა უფროსმა მაიორმა უზუნოვმა თებერვლის 21 რიცხვს ღამით დაიჭირა ქალაქის უმფროსი და რამდენიმე აფიცერი სარეგენტო მთავრობის ერთგულნი. მერე უნდოდა თოფ-იარაღი აეხსნა მეხუთე რაზმის დრუჟინისათვის, რომელმაც უარი განაცხადა არეულობას მიმხრობოდა. უზუნოვმა ესენი ვერას გზით ვერ დაიყოლია. კაპიტანმა ვულკოვმა ბრძანება გასცა, რომ იმავე ღამეს ორ დრუჟინას ქალაქის თავი ადგილები და ყაზარმები დაეჭირა. ამათ გარს შემოეხვიათ ხუთი როტა საპერებისა. დილის ექვს საათზე ასტყდა ამათ შორის ბრძოლა, გაისმა თოფის ჭექა და მთელი ქალაქი ფეხზე წამოდგა. მთავრობის ჯარებს მიემხრო ასამდე ქალაქის მცხოვრები. ქუჩებში შეეტაკნენ ერთმანეთს მოპირისპირენი და ორთავე მხარეს 70-გან 80-დე კაცი მოკვდა და დაიჭრა. მეამბოხეთა რაზმში, სხვათა შორის, მოკლულნი აღმოჩნდნენ: პორუჩიკი პაპოვი და კაშკავალჯიევი. ქუჩაში მოკლული უნახავთ აგრეთვე ორი ქვეშევრდომი გერმანიისა. შუა დღე რომ მოახლოვდა, რუმინიის ნაპირიდგან წამოვიდა ერთი დიდი ნავი, რომელსაც ბაირაღი ჰქონდა გაშლილი იმის ნიშნად, რომ მოლაპარაკება გვინდაო. ნავიდამ ხალხი გადმოსხდა ბოლგარიის სამხედრო გემზე „გოლუბჩიკზე.“ შუა დღის უკან მეამბოხეთ კიდევ სცადეს კაპიტან ვულკოვთან მოლაპარაკებით, მაგრამ ამ დროს ქალაქის მცხოვრებნი დაეცნენ მეამბოხეთ და მედგრათ შეუტიეს. ამავე დროს ჯარები გამოვიდნენ ყაზარმებიდგან და მეორის მხრით შემოუტიეს მეამბოხეთა. თუმცა მეამბოხენი ორ ცეცხლ შუა მოემწყვდნენ, მაგრამ საქმე ბოლოს მაინც იმაზე მიდგა, რომ ხმალ-და-ხმალ მივიდნენ მართებლობის ჯარებზე. მეამბოხეთ ჩქარა უკან დაიწიეს, ბოლოს სრულიად პირი იბრუნეს; მთავრობის ჯარები დაედევნენ და ბევრი დაატყვევეს. უზუნოვი, პოდპოლკოვნიკი ფილოვი და რამდენიმე სხვა აფიცერი ნავებში ჩასხდნენ და რუმინიის ნაპირისკენ გასწიეს, მაგრამ ნაპირამდე მისვლა ვერ მოასწრეს და „ქვიშიან კუნძულზე“ შესდგნენ. ბოლგარიის ნაპირიდგან გაცხარებული თოფის სროლა ასტყდა, ტყვია წვიმასავით მოდიოდა. უზუნოვი, ფილოვი და აფიცრები თხრილებში იმალებოდნენ. ამ დროს დაიძრა გემი „გოლუბჩიკი“ და გასწია კუნძულისკენ დამალულ აფიცრების დასაჭერად. ეს ყველას გაუკვირდა, რადგან არ მოელოდნენ, რომ გემის უფროსი დრაგანოვი მთავრობის ერთგული იქნებოდა. კუნძულზე დამალულმა აფიცრებმა ნახეს, რომ თავს ვეღარ გადავირჩენთო და ზოგმა ისევ სიკვდილი ირჩია, ვიდრე მტერს ხელში ცოცხლად ჩაჰვარდნოდა; ორი აფიცერი წყალში გადავარდა და დაიღრჩო. უზუნოვი და ფილოვი კი დაჭრილები ტყვედ წამოიყვანეს. დატყვევებულებთა შორის აღმოჩნდნენ აგრეთვე მაიორი პანოვი და კაპიტანი კირჯიევი, რომლების დაჭერა და ხელში ჩაგდება სარეგენტო მთავრობას დიდი ხანია უნდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგა თუ არა გემი ნაპირს და დატყვევებული ოფიცრები ნაპირზე გამოიყვანეს, მაშინვე ხალხი შემოეხვია და ისე იყო გაშმაგებული, გაცეცხლებული, რომ მოღალატენი აქვე უნდოდა გაეგლიჯა. ჯარებმა ძლივს ვაი-ვაგლახით შეიკავა ხალხი, რომელსაც უნდოდა ბოლგარიის მოღალატენი იქ წაეყვანათ, სადაც დახოცილები ეყარნენ და ლუკმა-ლუკმად დაეგლიჯათ. საღამოს ექვს საათზე არეულობა სრულიად მოისპო.

ჯერ ნამდვილად არავინ იცის, რამდენი ხალხია დაჭრილი და დახოცილი. ფილოვი ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ ამას მორჩენის იმედი აღარა აქვთ. სამკურნალოში ფილოვისა და უზუნოვის გარდა, ერთი რუსეთის ქვეშევრდომი პორუჩიკი ბოლმანიც არის. გრუევიც ურევია არეულობაში და მძიმეთ დაუჭრიათ მხარში. ფილოვს ერთი ტყვია აქვს გულში მოხვედრილი; უზუნოვს ორი ტყვია—მუცელში. იმ ორ ოფიცერში, რომელნიც წყალში გადავარდნენ, ერთი მატევი ყოფილა. ამ მატევის ღვიძლი ძმა ერთგული მომხრეა მთავრობისა და ყველაზედ სასტიკად ეს ებრძოდა მეამბოხეთა“.

(„ივერია“).

## თავად იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილის იუბილეის გამო.

ის ითქმის კაცად,
ქველად და ნათლად
ვინც თვის სამშობლოს ემსახურება;
ნათლის თვალითა
და სიმართლითა
მის სამსახურში ვინც მოხუცდება,

—

ვინც განვლო გრძელნი
ჟამნი და წელნი
და ნათლად მოჩანს მას მნათი კვალი;
წმინდის გულითა,
მხიარულითა
ვინც აღასრულა მისდა თვის ვალი.

—

ის არს ის კაცი,—
თუმც ხნით მოხუცი,
მაგრამ ჭაბუკი არს მარად სულით;
თვალით ნათელი
და გულით წრფელი,
კაცთ სიყვარულის გრძნობისა სრულით.

—

დიახ! ის მნათი
ორმოც-და-ათი
წელნი ერს წმინდად შენ ამსახურე
და აწ მადლობას
და თანაგრძნობას
მოგიძღვნის გულით მთლად ჩვენი მხარე;

—

და ცამ ინებოს,
რომ ჩვენ სამშობლოს
მოეცეს ხშირად შენებრ მექველი.
შენთვის კი ღმერთსა,
ვსთხოვთ მაღალს—ერთსა
სრულის სიმრთელით მოგცეს დღე გრძელი.

(„ივერია“).

ვ. თ.

23 თებერვალი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ხუთშაბათს, 26 თებერვალს, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს სიონის საკრებულო ტაძარში სწირა ყოველად სამღვდელო ალექსანდრემ უმაღლესი სამღვდელოებით თურთ. წირვაზე მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა პაისიმ, რომელმანც დიდი შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზედ. წირვის შესრულების შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. წირვაზე დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი, სხვა სახელმწიფოების ელჩები და მრავალი ხალხი. ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით და საღამოს განათებული. ამავე დღეს თბილისის სომხების უმთავრეს ეკკლესიებში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, შემდეგ სომხის ეპისკოპოსმა, არისტაკესმა მთელი ქალაქის სომხეთა სამღვდელოების თანადასწრებით გადიხადა სამადლობელი პარაკლისი ვანქის საკრებულო ტაძარში.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 თებერვალს დაასაფლავეს გარდაცვალებული სიონის მღვდელი მ. გრიგოლ მღებრიშვილი. განსვენებული ახალ-გაზდა კაცი იყო. ცოლ-შვილი განსვენებულს არ დარჩენია. თუმცა განსვენებულს დიდი ხანი არ უმსახურნია, მაგრამ ცოტა დროის სამსახურითაც დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული. თბილისში მ. გრიგოლს იცნობდნენ, როგორც კეთილს მღვდელს და კეთილ კაცს.

***

გაზეთ „კავკაზს“ აცნობებენ ბაქოდამ, რომ იქ სდგება საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექნება საეკკლესიო გალობის გაუმჯობესება. ამ საზოგადოების წესდება კიდეც შეუდგენიათ და დასამტკიცებლად წარუდგენიათ მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლეს, საქართველოს ექსარხოსისათვის, პეტერბურგში.

***

თებერვალში გარდაიცვალა თბილისის ოლქის სამსაჯულოს ადრინდელი უმფროსი ნატარიუსი ა. ი. პეტროვი, რომელსაც, როგორც ამბობენ, რვაასი თუმანი უანდერძებია თბილისის სასულიერო სემინარიისათვის, რომელშიაც განსვენებულს მიუღია განათლება.

***

გაზეთ „კავკაზს» სწერენ ბაქოდამ, რომ იქაურ საკრებულო ტაძარში დაუწყიათ საუბრები სარწმუნოებაზე. ტაძართანვე იყიდება წიგნები და პატარა წიგნაკები სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსებისო.

***

თბილისის გუბერნატორი აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ ის ახალ-გაზდა პირნი, რომელნიც თავიანთის ან და რომელიმე მიზეზისა გამო არ არიან ჩაწერინლი სიებში, ვალდებულნი არიან შეატყობიონ ეს თბილისის, ახალ-ციხის და გორის საქალაქო გამგეობათ, სხვა ქალაქებში და სოფლებში, კიდევ მაზრის უფროსს. სიებში ჩაწერილნი უნდა იქმნენ ყველა ახალ-გაზდა ყმაწვილნი კაცნი, რომელთაც 1 იანვარს 1887 წელს შეუსრულდათ ოცი წელიწადი.

***

„С-Петербургскія Вѣдомости“-ს სწერენ სტამბოლიდამ შემდეგს: ის დიდი ხნის დავა, რომელიც ქართველებსა და ბერძნებს შორის იყო ათონის ივერიის მონასტრის შესახებ, ამ მოკლე დროში უნდა გაეთავებინა ოსმალეთს ქართველების სასარგებლოდ, მაგრამ ახალი მსოფლიო პატრიარქის დიონისის და ზოგიერთი მისი მომხრეების მეცადინეობით ეს საქმე კიდევ გადასდევს და ვინ იცის, როდის მოელება ბოლო ამ დავას. რუსეთის ელჩი ნელიდოვი, მართალია, ძრიელა სცდილობს ამ საქმის მალე გათავებას და ოსმალეთის მთავრობასაც სთხოვს, რომ ეს საქმე მალე გათავდეს, მაგრამ ბერძნები მაინც მეცადინობენ, რომ ამ დავის გარდაწყვეტა გააგრძელონ. შეიძლება ბერძნები ამას იმიტომ სჩადიოდენ, რომ მოასწრონ ივერიის მონასტრიდგან მთლად გაიტანონ მდიდარი წიგნთ-საცავი და სხვა ძვირფასი ნივთეულობა, რომელნიც ამ მონასტერში საუკუნოებით არის შეგროვილი და დაცული.

***

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლად ახალი თხზულება პატივცემულის ისტორიკოსის ბ. დიმ. ბაქრაძისა. ეს თხზულება რუსულად არის დაწერილი და ეწოდება; Статьи по исторіи и древностямъ Грузіи. წიგნი შეიცავს 38 გვერდს და ჰღირს 20 კაპ.

***

ბლაღოჩინის მიხეილ სხირტლაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„უმორჩილესად ვთხოვ „მწყემსი“-ს რედაქციას გამოაცხადოს გაზეთ «მწყემს»-ში შემდეგ პირთა სახელი, გვარი და ფულთა რაოდენობა, რომელთაც შემოსწირეს ფულები თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა შესაწევნელად. ფულები შემოსწირეს შემდეგმა მღვდლებმა: გიორგი ქანდელაკმა 1 მ.; ერმალოზ ქაციტაძემ 1 მ.; გაბ. ბოჭორიშვილმა 1 მ.; თომა წერეთელმა 1 მ.; სოფ. ქობახიძემ 1 მ.; ვასილ ბაკურაძემ 1 მ.; სკ. ენუქიძემ 1 მ.; ი. პეტრიაშვილმა 1 მ.; მაქ. მესხმა 1 მ.; გ. ქელბაქიანმა 1 მ.; ი. სირაძემ 1 მ.; ერ. ჯანელიძემ 1 მ.; მ. ქიკვაძემ 1 მ.; ნ. სოხაძემ 30 კ.; მედავითნეებმა: ქ. მომცელიძემ 10 კ.; მ. ბაკურაძემ 10 კ.; სარ. ბუაძემ 9 კ. და სრულიად ჩემგან შეწირული 1 მანეთით შესდგა 16 მ. 59 კ. ეს ფულები ჩემგან გაიგზავნა კუთვნილებისა მებრ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოძღვრება

## სახარების ცხრა ნეტარებაზედ.

## II

### მოძღვრება მეორე, თქმული კვირიაკესა უძღების შვილისასა, 1-ს თებერვალს 1887 წელსა.

*ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ. (მათ. 5—4).*

წინა კვირაში თქვენთან მქონდა ბაასი პირველი ნეტარების მცნებაზედ. მე მსურს, ქრისტეს მოყვარენო მსმენელნო, ძალისა და შეძლებისა მებრ განვიმარტოთ სწავლა სახარებისა ყველა ცხრა ნეტარებაზედ. დღევანდელ სასაუბროთ თქვენთან ავირჩიე მეორე ნეტარების მცნება, რომელიც მაცხოვარმან ჩვენმან გამოხატა შემდეგი სიტყვებით: ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ. პირველ საუბარში ის ჰაზრი გვქონდა, კეთილ მსახურნო მსმენელნო, საბაა ოთ, რომ ჩვენ ყველანი ვართ „გლახაკნი სულითა," რომ ვისაც გვსურს ღვთის შეწევნა და ღვთის მადლი, არ უნდა ვმედიდურობდეთ, მგზავსად ფარისეველისა, არამედ თავდაპირველად ცხადად უნდა წარმოვიდგინოთ ყოველნი ჩვენნი უსჯულოებანი და შეცოდებანი, ყოველნი სიმრავლე ცოდვათა და სილატაკე კეთილთა საქმეთა.

იყო, ძმანო, ის ნეტარი დრო, როდესაც ჩვენი წარმომადგენელნი პირველ შექმნილი კაცი სავსე იყო ყოველი სულიერი სიკეთითა, რომლითაც ბრწყინავდა ღვთის მზგავსი სული მისი. ყოვლად სახიერმან მეუფემან შთაბერა მას სული თვისი უბიწო, უმანკო და წმიდა: პირველი კაცი იყო თვით შუქი ღვთაებრივი სინათლისა; იგი იყო შემკული უმაღლესი საუნჯითა და ნიჭთა სიმდიდრით და მეფურის დიდებით. მაგრამ, საუბედუროთ, პირველმა კაცმა ვერ შეითვისა ამ გვარი ნეტარება; შემდეგ მის შეცოდებისა მას და მასთან ყოველ მის შთამომავლობას, რომელიც თვითვე შეუდგა მისგან გაკვლეულ ცოდვის გზას, მოესპო ყოველივე ეს სიკეთე: ის სახე და მგზავსება ღვთისა, რომლითაც დაგვაგვირგვინა ყოვლად სახიერმან შემოქმედმან,—ეს უმაღლესი სიწმიდე ჩვენი დავამდაბლეთ, დავაბნელეთ, დავამახინჯეთ,—ეს ულევირფასესი საუნჯე ჩვენი გავფანტეთ და მოვიშორეთ, და ყველა ამასთან მოგვშორდა ის ენით გამოუთქმელი ნეტარებაცა, რომლითაც პირველი კაცი სტკბებოდა სამოთხეში და რომელიც იყო დანიშნულ მის შთამომავლობისათვისცა სამუდამოდ.

დღევანდელი სახარების იგავი ხომ მოისმინეთ, ძმანო,—ეს იგავი მოგვითხრობს, რომ უმცროსი შვილი გაეყარა რა თავის მამას, წაიღო ყოველი თავის სიმდიდრე და გაფანტა იგი გარყვნილობაში და ძღებაში, ასე რომ ბოლოს ისე გაუხდა საქმე, რომ რაკი აღარა ებადა რა, ერთ კაცს მეღორეთ დაუდგა და მზათ იყო იმითი მაინც გამოკვებულიყო, რითაც იკვებებოდნენ მისი ღორები, მაგრამ ამასაც კი ხანდისხან ვერა შოვობდა.

ეს იგავი ძმანო, ჩვენზედაა ნათქვამი: კაცი ღმერთმა ყოვლის სიკეთით აღავსო, მაგრამ უმადურმა კაცმა ეს სიკეთე ვერ შეიფერა, მოისპო თავის ურჩობით და შეცოდებით ყოველივე ღვთის მოცემული სიმდიდრე და ნეტარება და ამის მაგიერ შეიძინა ცოდვისა და ყოვლის სიბოროტისადმი მიდრეკილება, და ნეტარების მაგივრად მას მოევლინა ტანჯვა, ვაება და მწუხარება, მზგავსად უძღების შვილისა, მაგრამ, ძმანო, უძღები შვილი მალე მიხვდა და დაადგა სინანულის გზას და ამ სინანულის გზამ იგი კვალად მიიყვანა და შეარიგა თავის მშობელს მამას. ჩვენც ეს გზა უნდა ავირჩიოთ, ძმანო,—ჩვენმა აწინდელმა მდგომარეობამ უნდა აღძრას ჩვენს შორის გლოვა და ცრემლით სინანული. უძღებმა შვილმა, როდესაც მოიგონა თავის თავდაპირველი ნეტარებით სავსე ცხოვრება თავის მამასთან და შეადარა იგი თავის უკანასკნელს საცოდავ მდგომარეობას, მოეგო თავსა თვისსა, ცრემლით და გოდებით მიმართა თავის მამას და შეევედრა, რომ მას მიეღო თავის მოწყალება და, თუ როგორც შვილს ისე აღარ მიიღებდა მას, რადგან შვილობის ღირსი აღარ იყო,—მიეღო მაინც ვითარცა თავის მუშაკნი, მაგრამ მამამ ისევ დაუბრუნა, ძმანო, თავის, თუმცა ურჩს, მაგრამ ბოლოს გლოვით და სინანულით მოსულს შვილს თავ-და-პირველი ნეტარება. ამ იგავით, ქრისტეს მოყვარენო მსმენელნო, მაცხოვარმა გვასწავა, რომ ჩვენც თუმცა ჩვენი ურჩობით და მრავალ გვარი ცოდვით განვშორდით ჩვენ ზეციერ მამას და მოვიშორეთ უწინდელი ჩვენი ნეტარება, მაგრამ თუ შევინანებთ ჩვენ უწესო საქციელს და შემუსვრილი გულით კვალად მივმართავთ ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, იგი მიგვიღებს კვალად, ვითარცა მიიღო მამამ თავის უძღები შვილი. რომ შევადაროთ, ძმანო, ჩვენც, მზგავსად უძღები შვილისა, ჩვენი აწინდელი საცოდავი მდგომარეობა იმ ნეტარებასთან, რომელსაც მოვშორდით;—ვინ არ დაღვრის მწუხარების ცრემლს, ვინ არ მიეცემა გოდებას და მწარე სინანულს, როდესაც ცხადივ დაინახავს, რა იყო პირველად და სადამდინ მივიდა ბოლოს,—როდესაც წარმოიდგენს თუ რა ნაირად დააბნელა თავის უკულმართი მოქმედებით და ცხოვრებით თავის ღვთის მზგავსება, რომელიც ერთ დროს ისე ნათლად ბრწყინავდა კაცის ბუნებაში.

აიღეთ, ძმანო, ქვეყნიური მაგალითი: რამოდენა გლოვას და მწუხარებას მიეცემა ხოლმე კაცი, როდესაც, მაგალითებრ, მოუკვდება ვინმე ახლო ნათესავი, ან დაჰკარგავს რასმეს ძვირფასს, ხოლო რამდენად ძვირფასი იყო, ძმანო, ჩვენთვის ის პირველ დროითი ჩვენი ბუნების სიწმიდე და უმანკოება და მასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეერთებული სამოთხის ნეტარება! კაცმა ყოველივე ეს უძვირფასესი საუნჯე მოიპოვოს თავის უმგზავსო ცხოვრებით. ნუ თუ იგინი არ უნდა იგლოვდენ და მწარედაც უნდა სტიროდენ ამ თავის ენით გამოუთქმელის დანაკარგისათვის! ნუ თუ მას მზგავსად უძღების შვილისა, არ უნდა მოუვიდეს ის ჰაზრი, რომ თავის მხურვალეს სინანულით, ვედრებით და გოდებით კვალად მოიპოვოს ეს დანაკარგი! რომ ღრმათ დაუფიქრდეთ, ძმანო, ჩვენ თავს, პირველად მოგვივა აი ეს აზრი სინანულისა და გლოვისა.

აი, ძმანო, ამისთანა მგლოვიარობაზედ უჩვენებს მაცხოვარი; აი ამ ნაირ «გულით მგლოვიარეთ» ანეტარებს უფალი ჩვენი, როდესაც აღუთქვამს, რომ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქნებიანო. აი ამისთანა გლოვა და ტირილი მოგვანიჭებს მრავალ-მოწყალის და კაცთ მოყვარის მამისა ჩვენისაგან ზიციერ დამამშვიდებელს მადლს, რომელიც პირ-და-პირ იმის ნიშანია, რომ ჩვენ კვალად მოვიპოვეთ ყოვლად სახიერის შეწყალება. აი ამისთანა გლოვაზედ ამბობს წმიდა იოანნე ოქროპირი, რომ, როგორც შემდეგ შხაპუნა წვიმისა ჰაერი გასუფდავდება და გასუბუქდებაო, ისრე შემდეგ ცხარე ცრემლთა დაღვრისა ჩვენთა ცოდვათა ზედა მოგვევლინება სიმშვიდე და მყუდროება უფლისა და განქარდება ცოდვათა სიბნელეო.

მრავალ გვარი წყარო მოიპოება, ძმანო, კაცთა ცხოვრებაში, რომლიდგანაც იგინი ჰპოვებენ თითქო სიხარულსა, შვებას, კმაყოფილებას, ზოგი კაცი ამისთანა სულის მდგომარეობას გრძნობს მაშინ, როდესაც იძენს სიმდიდრეს, ზოგი ნეტარებს ქვეყნიური ფუფუნებით და სილაღით, ზოგს კი შვებას და სულის კმაყოფილებას ანიჭებს გარეგანი დიდება, პატივი და კაცთა ქება. მაგრამ, ძმანო, ამისთანა დროებითი ქვეყნიური საუნჯე ისე სრულიად და სამუდამოდ არ აკმაყოფილებს კაცს, ისრეთ სულის სიმშვიდეს და ნუგეშს არ აძლევს, როგორც შეგნება კაცისა, რომ მან თავის შეცოდებანი და ულირსნი მოქმედებანი მოინანა ცრემლით და გოდებით, რომ იგი გახდა კვალად ღირსი ღმერთთან დაახლოვებისა და ამით შეირიგა თავის სვინდისი. რა ნაირი ქვეყნიური დიდება და სიმდიდრე არ გამოიარა, ძმანო, სოლომონ ბრძენმან, მაგრამ ბოლოს მაინც აღიარა და სთქვა, რომ ეს ყველაფერი ამაო ამაოებათააო. არა, ძმანო, იმისთანა სანატრელი სულის მშვიდობა არა არის რა ქვეყანაზედ კაცისათვის, როგორსაც იგი გრძნობს, როდესაც გულითადი სინანულით და გლოვით აიხადა მძიმე ტვირთი ცოდვათა. მაგრამ ეს ნეტარებაც ყოვლად შეუდარებელია იმ ნეტარებასთან, როგორსაც ჰპოვებენ „მგლოვარენი გულითა» იქ, «სადაც არღა სუფევს არცა მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი;“ იქ, იმ საუკუნო ცხოვრებაში, «იმ დაუღამებელ დღეში ქრისტეს სასუფევლისა».—იქ გრძნობენ იგინი იმ სრულ ნეტარებას, რომელსაც პირდება ღვთაებრივი ჩვენი მოძღვარი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ დროში, როდესაც გვასიამოვნებს მარტო ქვეყნიური საუნჯე და გვაწუხებს მარტო მისივე მოსპობა,--ამ ჩვენ დროში მეტად შემცირდნენ «მგლოვარენი გულითა». ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი და თვალთა ჩემთა წყარო ცრემლთა, რათა ვსტიროდე, დღე და ღამეთო“ (იერ ემ. 9-1) ხმობდა წინასწარმეტყველი იერემია. ესრეთვე გვეთქმის ჩვენცა, ძმანო, რომელნიც ველარ ვპოვებთ მდუღარე ცრემლთა განსაწმენდელად სულისა ყოვლისაგან ბიწთა და მწიკლოვანებათაგან; ვინ მოგვცემს წყაროსა ცრემლთა, რათა ჩვენცა ვსტიროდეთ დღე და ღამე! სახიდგან მოგვეცალა, ქრისტიანენო, ზეციური სასუფეველი, ქვეყნიურმა ამაოებამ დაგვიხშო აზრი და გონება და აღარ გვახსოვს, თუ ვინ ვიყავით და ან რა საუნჯე გამოგვეცალა ხელიდგან. „სულო ჩემო, სულო ჩემო აღსდეგ! რასა გძინავს? აღსასრული მოახლოვებულ არს, და გეგულების აღშფოთება, აღსდეგ, განიღვიძე, რათა შეგიწყნაროს შენ ქრისტე ღმერთმან, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს“. განვიღვიძოთ, ძმანო, ამ ძილიდგან, გამოვერკვიოთ ამ დავიწყებიდგან, მოვიფიქროთ კარგად ჩვენი ვინაობა და გულ-მხურვალედ მოვიქცეთ, მზგავსად უძღების შვილისა, მამისა ჩვენისადმი, და ესრეთ გოდებით ღაღად ვყოთ: შეგცოდეთ, შემოქმედო და მხსნელო ჩვენო, შეგცოდეთ; მოგვეც წყალობისაებრ შენისათა ძალა და შეძლება, რათა აღმოვიდეთ სიღრმიდგან ცოდვათა ჩვენთასა! განგვიღე სინანულისა კარი, კაც-მოყვარეო, რათა ვსტიროდეთ უბადრუკთა სულთა ჩვენთა, მრავლისა მოწყალებისა შენისადმი მოვილტვით,—უფალო, ვსცოდეთ ცად მიმართ და არღავართ ღირს აღხილვად სიმაღლედ მიმართ დიდებისა შენისა; არამედ შენ, უფალო, ძვირ უხსენებელ ხარ, სულ გრძელ და მრავალ მოწყალე,—აღმოგვიყვანე, სახიერ, დანთქმისაგან და მოეც შვება და ლხინება სულთა ჩვენთა, წყარო ნეტარებისაო? ამინ.

არქიმანდრიტი მაკარი.

---

შინაარსი: ცრუ ფიცის გახშირების მიზეზი.—წერილი რედაქტორთან.—სვანეთიდგან.—წმიდა ნინოს ცხოვრების აღწერილობა.—ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოძღვრება.

---

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 9 Марта, 1887 г.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციის.